


~~K~~ 1400  
la



~~K 1400  
1a~~

ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა

მამისა ჩვენისა

# ი ს მ

წილკნელ ეპისკოპოზისა.

გამოცემა „ბმოშის“ სცენმშისა



ქუთაისი, 1910

სტამბა სარწმ.-განმანათლებელ ძმობისა.

ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა  
მამისა ჩვენისა ისე წილკნელ ეპისკოპოზისა



გამოცემა „ძმობის“ სკამისა

თბილისი, 1909

მსწრაფლ-მბეჭდაფი „ძმობისა“, მოსკ. ქ., № 5.

# ცხოვრება

და მოღვაწეობა

წმიდისა და ნეფარისა მამისა ჩვენისა

ისე წილკნელ ეპისკოპოზისა.



სე იყო დიდად სახელ განთქმული უბინებითა და სრულს სათნოებას მიწევნილი. იგი იყო ვითარცა ნერგი სამოთხისა, ჟვავილი ფერ შვენიერი და სულნელოვანი. წმ. ისე აკურთხა წილკნის ეპისკოპოზად წმ. მამამან ჩვენმან კოსმან. კოზმანმან მრავალ ჯერ სთხოვა წმ. ისეს ეპისკოპოზად კურთხევა, მაგრამ შან არ ისურვა. შემდეგ კოსმან ძალად დაითანხმა ეპატრონებია ღვთის მშობლის, ქრისტეს ღედის ეკლესიისათვის, იმ ღედისა, რომელიც შუამდგომელი იქმნა ღვთისა და კაცთა შორის და კაცებისა ბუნება მას შეუერთა, მის ღედისა, რომელმან თანადები ღედათა გარდაიხადა, და რომელსა მაშათა ვალი თანა ედვა, რამეთუ თვინიერ მამაკაცისა კაცი შვა, რომელმან დაიმარხა თავი თვისი უხრწნელად და ჩვენ სიხარული დიდი მოგვმადლა. რომლისაგან ჩეენ უხრწნელება მოვიღეთ შვენის მას, რათა მსახურნიცა წმიდანი აქვნენ.

აზარიას უფრო ედვილებოდა პასუხის მიცემა და უთხრა მეფეს: ვითარმედ არს ღმერთი ცათა შინა, რომელი შემძლებელ არს განრინებად ჩვენდა სახმილისა ამის და ხელისა შენისაგან. ხოლო მეფე უფრო ფიცხელ სახმილს (ცეცხლს) ალიგზნებდა ფიჩხისა და ფისის ნაძებისაგან, მაგრამ ყრმების გარე შემო მგზებარე ცეცხლი იმათვე ავრილებდა, ხოლო გარემოს მათსა ცეცხლმა, ვითარცა ცხოველმან, მსწრაფლ მიჰყო პირი, გაშილი ხელნი ორმოცდა ცხრა წყრთამდე მოჭამა და თავის მუცლის საზრდოდ აქცია მისი ალიგზნებელნი ქალდეველნი, ხოლო მმარხველნი და თესლის (ნაყოფის) მქამელნი იცნა და მოერიდა. ესრეთ იდიდება კაცი და საუკუნოდ განახლდება, ისე როგორცა ხედავთ წმ. შიოსა.

შემდეგ მიხედა ნეტარმა ითანებ ისეს და უთხრა: მამაო, მფლობელო (პატრონო ანუ ბატონი), გვნებავს კურთხევა მრვილოთ შენგან, რომელი გვაძვნდეს სახსენებელად შენდა. “ ხოლო მორჩილი იგი მოწაფე ისე ვერა ბედავდა თავის მოძღვრის ურჩებას, აღგა და უთხრა მათ: „აღსდევგით და მცირედ უამ შემომიდევგით.“ თვით წამოდგა სწრაფად და გაეშურა მდინარე ქსნისაკენ. როცა მივიდა იქ, შეჩერდა და სოჭვა: „იცით ყოველთი მდინარის ამის სიმძაფრე“ (სისასტიკე). შემდეგ გაიქნია კვერთი, დასცა მდინარეს, ქრისტეს სახელით, გამოჰყო წყლის რამდენიმე ნაწილი და უბრძანა გაპყოლოდა. მდინარე მსწრაფლ გადმოვიდა თავის საფალ-

ადგილიდამ და გაჰყვა წმ. ისეს კვერთხს. მიწა  
ლრმავდებოდა და კაცთაგან უმუშაკო ადგილას  
მიმდინარეობდა. მიმდინარეობდა იქითკენ, საითკეხაც  
წმიდანი მიღიოდა. წმიდანმა მდინარე წილკნის  
ეკლესიამდე მიიყვანა და დღესაც მიმდინარეობს იმ  
ადგილის სახმარებლად. იხილეს ეს მცხეთისა და  
მის გარშემო მდებარე სოფლის მცხოვრებთა,  
უკვირდათ და ადიდებლნენ ლმერთსა, რომელმან  
მოსცა ასეთი მადლი წმიდათა მისთა, რომელთაც  
შეიყვარეს იგი ყოვლითა გულითა მათითა. ეპა  
ტიდებული და საკვირველი! მიწიერთა კაცთა  
დაიმორჩილეს ბუნებისა ძალნი. ერთი ჰაერს იმორ-  
ჩილებს თავის მსახურად, მეორე მგზებარე ცეცხლს  
განიოტებს (განსღევნის) და სხვანი წყალთა მძიმე-  
თა ერთი მეორისა მიმზიდველთა და ქვემო მიმდი-  
ნარეთა ჰირს აქცევინებს და თავის ნებაზე  
წაიყვანს. ამას რომ ხედივდენ, მორწმუნეთა სიმ-  
რავლე განმტკიცებოდა და ღმერთს ადიდებდა.

მაშინ გავიდა წმ. მამათ-მთავარი იოანე, დად-  
გა მათთან, ისაუბრეს ურთიერთ შორის, სული  
მისი შეეყო სულსა მათსა, ვითარცა სული დავი-  
თისი იოანათანისასა. განხურდა გონება მისი მათ  
მიერ. ხედვიდა იგი მის მახლობლად, ვითარცა დიდ-  
თა საფასეთა და სიხარულით დაბრუნდა თვისსავე  
ქალაქსა, ხოლო ნეტარი ეპისკოპოზი ისე აშ  
დროითგან წავიდა იმ ადგილის მთის მხარესაკენ,  
უჭადაგებდა ქრისტესა და ახწავლიდა ბილწ კერპ-

თაგან განშორებასა და ქრისტეს სარწმუნოებაზე  
მოქცევას. მრავალი სასწაული ჰქმნა და მრავალთა  
სოფელთა კერპნი დალეჭა და ნათელს სკა ერს  
სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდი-  
სათა და განისვენა თვისსავე საყდარსა მშვიდობით.

## ი გ ა ვ ი

ბრმა და კოჭლი, მცველნი ვენახისანი.

პატრონმა, ერთშა ვენახისამან წარვიდოდა რა  
გზასა, დაადგინა ვენახსა შინა თვისსა ორნი მცველ-  
ნი, ბრმა და კოჭლი იმ განზრახვით, რომ ვერც  
ერთსა მათგანსა ვერ შესძლებოდა მოწყვეტა ყურ-  
ძნისა და, როდესაც ნაყოფი დამწიფდა, ბრმამან  
სცნა თვისის თვალ-სალის ამხანაგისაგან სიმდიდრე  
ვენახის პატრონისა და მოიგონა შემდგომი ღონის  
ძიება: მოიკიდა ზურგზედ კოჭლი, მიმოაქვნდა  
აქეთ-იქით და იტყოდა კოჭლს, მოეწყვიტა ნაყო-  
ფი ვენახისა.

როცა ვენახის პატრონი დაბრუნდა, იხილა  
კვალი თავის ვენახის ნაყოფის მომპარავისა და  
მოუწოდა პასუხის საგებად ორთავე მცველთა: ბრმა-  
მან ყოველივე ბრალი კოჭლს დასდვა და სთქვა,  
უიმისოდ გზასაც ვერ ვიპოვნიდი ბალშიო.

კოჭლი ბრმას ამტყუნებდა და იტყოდა: ეს რო  
არ შემწეოდა ისე ნაყოფს ვერ შევწვდებოდიო.

მაგრამ მათი ბოლიში ამაო იყო. უფალმან უბრძანა  
კოჭლს, რომ კვალად შეჯდომოდა ბრმას მხარზე და ამ  
მდგომარეობაში ეცემნათ ორთავესთვის უწყალოდ.

განმარტება: ბრმა მცველი არის სული, კოჭ-  
ლი — ხორცი. რადგან ორნივე ნაწილი კაცისა აქა  
სცოდვენ შეერთებულად, ამისთვის უფალი ვენახი-  
სა, ესე იგი, მსაჯული ყოველთა კაცთა ღმერთი,  
საშინელსა მას დღესა განკითხვისა თვისისასა, მის-  
ცემს დასასჯელად სულსაცა და ხორცისაცა.

### ჭეშმარიტი ღირსება კაცისა.

(თხზულებათაგან წმიდისა იოანე ოქროპირისა).

იყავნ შენ კაციდ, რათამცა ტყუილად არა  
მიეწეროს შენს არსებას სახელი ესე. გაიგე თქმუ-  
ლი ესე? ყოველი თქვენგანი ამბობს — კაცი ვარ.  
ჰო, კაცი ხარ, მაგრამ ხშირად უფრო ცარიელი  
სახელით, და არა სულიერი შემკობილებით. რო-  
დესაც გხედავ შენ უმეტეს ზომისა განძლომილს,  
მაშინ როგორ გიწოდებ შენ კაცად, და არა ხა-  
რად? როდესაც გხედავ შენ, რომ იტაცებ ძალითა  
სხვისას, მაშინ როგორ გიწოდებ კაცად, და არა  
მგელად? როდესაც გხედავ შენ მომთვრალედ, მაშინ  
როგორ გიწოდო შენ კაცად, და არა ლორად?  
როდესაც გხედავ შენ მზაკვრად, მაშინ როგორ  
გიწოდო შენ კაცად, და არა გველად? როდესაც  
გხედავ, რომ შენ გაქვს გესლი ბოროტებისა, რო-

გორ გიწოდებ შენ კაცად, და არა ასპილად? როდესაც გხედავ შენ უგუნურად, როგორ გიწოდებ შენ კაცად, და არა კარაულად? (სახედარი). როდესაც გხედავ შენ მემრუშიდ, როგორ გიწოდებ შენ კაცად, და არა განცოფებულ ცხენად? როდესაც გხედავ შენ დაუმორჩილებელად და უგრძნოს ბელად, როგორ გიწოდებ შენ კაცად, და არა ქვად? შენ ბიილე ლვთისაგან კეთილშობილება; რისთვის უცვლი შენს ლირსებას ბუნებასა? აბა მითხარი, რა ჰქმენ შენ ისეთი, რომ გიწოდო კაცად, როდესაც გხედავ შენ უმდაბლესად და უმძვინვარესად ცხოველთა? და რადცა უფრო უცუდესია, თვითოვეულსა პირუტყვთაგანსა ცხოველსა აქვს ერთი რამ ნაკლულევანება: მგელი არს მტაცებელი, გველი არის მზაკვარი, ასპილი—გესლიანი, ხოლო ბოროტსა კაცსა ხშირად აქვს არა ერთი ნაკლულევანება, არა? ედ მრავალი: — იქმნების მტაცებელად, მზაკვრად და გესლიანად, (შეიძლება იყოს მტაცებელიცა, მზაკვარიც და გესლიანიც). ვითარ გიწოდებ შენ კაცად და მეფედ ცხოველთა, როდესაც არა გაქვს მეფობრივი განრჩევა და სამეფო გვირგვინი? „ვჰქმნათ, სთქვა ღმერთმან, კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“ (შექმნათა 1, 26). იფიქრე, კაცო, რომლისა სახისაგბრ შექმნილ ხარ შენ და ნუ დაიმდაბლებ თავსა შენსა ცხოველთა თვისების სიმდაბლედმდე. ნუ მიმტკიცებ, რომ შენ გაქვს სული კაცისა, არამედ მაჩვენე, რომ შენ ხარ

კაცი სულიერის შემკობილობითა, შენ ხარ მეფე  
პირუტყვითა ცხოველთა, და ნუ იქმნები მონად  
უგუნურთა ვნებათა და გვემათა. ვითარ იტყვი შენ:  
მე გავხდები კაცად? უკეთუ ვერ დასძლევ ბოროტსა  
ალძრვასა სხეულისასა, უკეთუ არა დაუტივებ მრუშე-  
ბასა, უკეთუ ვერ აღმოჰქონვრი შეუზავებელსა გვემუ-  
ლებასა სიმღიდრისადმი. უკეთუ იქმ ყანასა სულისა  
შენისასა წმიდად,— შეგიძლიან შენ გახდე კაცად.  
ეგრეთვე— უკეთუ ივლი კრძალულებით ეკლესიასა  
შინა, სადაცა ხდებიან კაცად, შეიქმნები შენცა  
კაცად, თუმცა იყო მსგავსი ცხენისა, გინა მგე-  
ლისა.

---

### სიკვდილისა-თვის მართლისა.

განიჩრახე, ჩი კაცო, სიკვდილისათვის მართ-  
ლისა და ცოდვილისა, და ჰსუან განსხვავებად მათ შო-  
რის. პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკვდილი  
წმიდანთა მისთა. (ფს. 115, 6). ხოლო სიკვდილი  
ცოდვილთა ბოროტ-არს. (ფს. 33, 20). მიზეზნი  
პატიოსნისა სიკვდილისა წინაშე უფლისა არიან:  
პირველად სახიერება ღვთისა და წინა-განჩინება  
მისი; მეორედ, ფას დაუდებელი სისხლი ქრისტესი;  
და მესამედ, სინანული და სარწმუნოება მოკვდავისა.  
უკეთუ გინდოდეს პატიოსანი სიკვდილი და იმედი-  
სა ქონება მისი, ისმინე მოძღვრება მოციქულისა-

პეტრესი (პეტრ 2 1 5-11): „და ჰყავთ სარ-  
წმუნოებასა შინა თქვენსა სათნოებად, და სათნოება-  
სა შინა მეცნიერება, და მეცნიერებასა შინა მარხვად,  
მარხვასა შინა მოთხინებად, მოთმინებასა შინა ღვთის-  
მსახურებად, ღვთის-მსახურებასა შინა ძმათ-მოყვარე-  
ბად, და ძმათ-მოყვარებასა შინა სიყვარული. რამეთუ  
ეს რაფაშს იყოს თქვენთანა და გარდაგემატოს ორა  
უქმად, ორცა უნაყოფოდ იპოვნეთ უფლისა ჩვენისა  
იესო ქრისტეს მეცნიერებასა. ამისთვის ძმანო, უფ-  
როსლა ისწრაფეთ რათა კეთილთაგან საქმეთა მტკი-  
ცე-ჰყოთ ჩინებად იგი თქვენი, და რჩეულებად, რამეთუ  
ამას რა იქმოდეთ, ორა სადა ჰსულეთ ყოვლადვე,  
არამედ ესრეთ მდიდრად წარგემართოს თქვენ  
შესავალი იგი საუკუნოსა მას სასუფეველსა უფლი-  
სა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესსა“. განიზ-  
რახე, მოკვდავო კაცო, რასაცა შინა მოგას-  
წრებს შენ სიკვდილი, მასვე შინა წარსდგები წინა-  
შე უფლისა, ვითარიცა გვასწავებს მოციქული პავლე  
(რომ. 2,12). ვითარიცა გაქვს ცხოვრება, ეგრეთივე  
გექნების სიკვდილი; ვითარიცა ჰსწერს სანატრელი  
აგვისტინე: „არა ექმნების კაცსა მას სიკვდილი  
ბოროტი, რომელსაც უცხოვრიეს კეთილად; და  
არა საიმედო-არს, რათამცა კეთილად მოჰკვდეს  
იგი, ვისცა უცხოვრიეს ცუდად.“ კეთილ-მსახურნი  
კაცნი ცხოვრებასა თვისსა დაბარულებენ წინათვე  
წმიდათა საიდუმლოთა ზიარებითა, თანადასწრებითა  
მღვდლისა და მრავალთა მისთვის ღვთისმიმართ

მვედრებელთათა; ხშირად მოხდების ესეცა, რომელ  
ნუგეშის-საცემელად წმიდად ცხოვრებულთა, უამსა  
სიკვდილისასა მოავლენს ღმერთი ანგელოზთა და  
გუნდსა წმიდათასა, ვითარცა ჰსჩანს ესე მიცვალე-  
ბისაგან ლირსისს მაკარი მეგვიპტელისა (იანგრის  
19-ია დღესა). ოდესაც მოიწია უამი სულისა განყო-  
ფისა ხორციაგან წმიდისა მაკარისა, მაშინ ქრისტიანი  
სიმრავლესა თანა ანგელოზთასა წარმოუდგა მაკარის  
და ეტყოდა: აღსდეგ, უფლისა მბაბაო, და ჩვენ-  
თანა წარმოველ საუკუნოსა ცხოვრებასა; იხილე  
გარემოს შენსა, თუ რავდენნი წესნი ანგელოზთანი  
და წმიდათა გუნდნი წარმოგზავნილ-არიან ყოვლისა-  
მპყრობელისაგან, რათა მისსა მიმართ მიგიყვანონ  
შენ; იხილე, აპა კრებული მოციქულთა, კრებული  
წინასწარ-მეტყველთა, სიმრავლე მოწამეთა, გუნდი  
მღვდელ-მთავართა, ბანაკი მმარხველთა და ერთობა  
ლირსთა და მართალთა, ამისთვის მომეცი მე სული  
შენი, რომლისაცა მცველობა მებრძანა მე ლვთისა-  
გან, ოდეს იყო იგი გვამსა შინა, და მე მივიღებ  
მას, განთავისუფლებულსა საკვრველთაგან ხორც-  
თათა, ვითარცა დიდსა საუნჯესა და, განვლი რა ბანაკსა  
წინააღმდეგომთასა, წარვადგინებ წინაშე საყდრისა  
მეუფისა ლვთისა, რათა იგი უკუნისამდე იხარებდეს  
ყოველთა წმიდათა თანა. ოდესცა ქრისტიანი ეტყო-  
და ამას წმიდასა, სანატრელმან მაკარი ამბორს-უკო-  
ყოველთა მისთანა მყოფთა და ილოცა რა მათთვის,  
ზე აღიხილნა თვალნი და აღიშკრნა ხელნი თვისნი

ზეცად და სთქვა უკანასკნელი სიტყვად: „ხელთა  
შენთა, უფალო, შევვეღრებ სულსა ჩემსა“, და განუ-  
ტვა სული, ხოლო მრავალნი მოწითენი მისნი  
ჰსტიროდნენ.

პატიოსან-იყო წინაშე უფლისა სიკვდილი  
ლირსისა მაკარისა! ხოლო ოდეს წმიდა სული მისი  
მიაქვნდა ქერუბინსა ზეცად, ეშმაკნი ჰაერისანი,  
შორს მდგომარენი, იტყოდნენ: ეპა ვითარსა დიდე-  
ბასა ლირს-იქმნა მაკარი! ხოლო მაკარი ეტყოდა  
ეშმაკთა: არა, მე კვალად მეშინის, ვინაითგან ვიცი,  
ვითარშედ მე კეთილი არა რაც მიქმნიეს; მერმე  
მტერნი იგი, რომელნიცა უმაღლესსა ჰაერსა ზედა  
იყვნენ, ჰყვიროდეს: ქეშმარიტად ჩვენი არა არს  
მაკარი! გარნა წმიდა კვალადვე იტყოდა: არა, მე  
კვალად მნებავს ლტოლვად თქვენგან; და ოდეს იყო  
მაკარი შინაგან ბჭეთა ზეცისათა, ეშმაკნი ტირი-  
ლით ჰყვიროდენ: განერა ჩვენგან, განერა! ხოლო  
მაკარი ხმითა ხხოვანითა მიუგებდა: ჰე განვერი  
თქვენთა მანქანებათაგან, განძლიერებული ძალითა  
ქრისტეს ჩემისათა.

ვინც გინდა იყო, ჰოი კაცო, რომელსაცა ლირ-  
სებასა და მდგომარეობასა შინა იმყოფებოდე, შიში-  
თა და ძრწოლითა იქმოდე ცხოვრებასა შენსა (ფილი-  
პელ. 2, 12) ვითარცა იტყვის მოციქული (1  
პეტრ. 4, 18), უკეთუ მართალი ძნიად განერეს,  
ულმრთო იგი და ცოდვილი საღალა იპოვოს? ამისთვის  
წმიდა მაკარი და სხვანი წმიდანი არა იყვნენ დარ-  
წმუნებულნი სიწმიდესა ზედა თვისთა კეთილთა

საქმეთა, და ცხოვნებასა ზედაცა თვისსა ვერას  
იკადნიერებდენ თქმასა იქმდისინ, ვიდრე არა სრუ-  
ლიად განერებოდნენ ხელთაგან ეშმაკთასა, მიწვ-  
ნილნი სასუფეველისა კართადმდე.

### სიკვდილისა-თვის ცოდვილისა.

ჩვენ ვახილეთ მაგალითი მართლისა პატიოსნისა  
სიკვდილისა: ჰმთაინერგე, ჰოი კაცო, გულსა შინა და  
გონებასა შენსა ესეცა, ვითარმედ მაღე მოვალს ეამი  
შენი, რომელსა შინა მოვიდეს საშინელი და  
სასტიკი სიკვდილი, ვითარცა ლომი. მოვლენ  
ანგელოზნი და ეშმაკნიცა მოვლენ, მოშურნენი  
ჩვენისა ცხოვნებისა და მტერნი ჩვენნი; უკეთუ  
ცხოვრება შენი ყოფილ-არს ლვთის-მოშიში, მაშინ  
ანგელოზნი წყნარად და მშვიდობით მიიღებენ სულ-  
სა; ხოლო უკეთუ ცხოვრება შენი იყო ბოროტი  
და შენისა ალთქმისა, ნათლისლებასა შინა დადებუ-  
ლისა, წინააღმდეგი, — მაშინ ანგელოზნი განგეშორე-  
ბიან შენ მწუხარენი, ხოლო ეშმაკნი გეკვეთებან,  
ვითარცა ველურნი მხეცნი და უწყალოეთა ტანჯვი-  
თა აღმოგხდიან სულსა. წმიდათა ცხოვრებათა შინა  
შესაძლებელ-არს პოვნა შრავალთა მაგალითებთა  
ცოდვილთა სასტიკისა სიკვდილისა; გარნა აქა სა-  
სარგებლოდ და ცოდვილთა ძრწოლასა შინა მოსაყ-  
ვანად, რათამცა მათ შეინანონ თავის დროზედა  
ცოდვანი თვისნი, რავდენსამე მაგალითსა აღვწერთ  
მოკლედ, თუ ვითარ ცოდვილნი დატანჯულან ეამსა  
სიკვდილისასა, და თუ ვითარ მკვდარსა სხეულსა  
ზედ ა მათსა ეშმაკთა განუხარნიათ.

ერთ-გზის ლირსი ევთიმი (იანვრის 20-სა დღე-სა) ეტყოდა ძმათა თვისთა, რომელ ერთსა ვისმე მოჰქონდა თავი თვისი და იყო პატივცემულ კაც-თაგან და შერაცხილ წმიდად კაცად: არამედ სულსა შინა თვისსა განარისხებდა ღმერთსა, მარადის აქვნდა გულსა შინა თვისსა ბოროტნი გულის-სიტყვანი. ერთმან შორს-მხედველმან მოხუცმან, მყოფმან უამსა სიკვდილისა შისისასა, იხილა ეშმაკი, რომელსაც ეჭირა ხელთა შინა სამ-კაპიანი კვერთხი. ამითი განუგმირა გული სნეულსა და აღმოხადა სული მისი ლიდითა ტანჯვითა, და ისმოდა ხმა ზეცით: „რაითგანაც არცა ერთსა დღესა არა განმისვენა სულმან მაგისმან, ამისთვის შენცა ჰსტანჯე ეგე დაუსვენებლივ.“ ესრეთ მოკვდა უბადრუკად ტყუ-ლი წმიდა, ხოლო საიდუმლოდ ცოდვილი.

წმიდამან ანდრია ქრისტესთვის სალოსმან (ოკ-ტომბრის 2-სა დღესა) იხილა ანგელოზი უფლისა, რომელიცა მივიდა ერთისა ცოდვილისა მიმართ ცეცხლიანისა კვერთხისა ხელთა მჟყრობელი, და ესმა ხმა ზეგარდამო: ჰგვემე საძაგელსა მაგას მაგი-ნებელსა და არქუ მესოდომურესა მაგას: კვალიადცა გნებავსა ცოდვისა-ყოფა და შებილწება სხვათა და სხვათა გვამთა, ანუ მჩემებლობით მიმავალი, რეცა თუ ცისკრისა სმენად, მიხვალ ეშმაკისა მიმართ უსჯულოებისადან? ანგელოზი ჰსტემდა ცოდვილისა, და ამათ სიტყვათა ეტყოდა; ამგვარსა ტანჯვასა შინა ცოდვილი იგი მოკვდა.

ଜ୍ଵାଳି ପ୍ରକାଶନ ପରିବହନ.

